# ანონსი

## ბათუმი საჯარო შესყიდვების სფეროში ცოდნის გაზიარების საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლებს

საჯარო შესყიდვების სფეროში ცოდნის გაზიარების მე-11 საერთაშორისო ფორუმი წელს, 9-11 ივნისს ბათუმში გაიმართება. აღნიშნული კონფერენცია ყოველწლიურია და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება.

ფორუმის ორგანიზატორები არიან მსოფლიო ბანკი (The World Bank), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ისლამური განვითარების ბანკი (IsDB), ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა (OECD) და მართვისა და მმართველობის განვითარების პროგრამასთან (SIGMA) თანამშრომლობით.

კონფერენციას 100-ზე მეტი დელეგატი ესწრება შემდეგი 25 ქვეყნიდან: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, მაკედონიის რესპუბლიკა, ყაზახეთი, ყირგიზეთის რესპუბლიკა, მოლდოვა, მონტენეგრო, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, სერბეთი, სლოვენია, ტაჯიკეთი, თურქეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი და მონღოლეთი.

ფორუმის მთავარი თემაა მონიტორინგის როლი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის განვითარებაში. ღონისძიებაზე ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი, სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგის განხორციელების საკითხების შესახებ, ქართული მხარე იქნება.

ძირითად მონაწილეებსა და დონორებთან ერთად, პრეზენტაციებს წარმოადგენენ ექსპერტები აშშ-ს გენერალური აუდიტორული ოფისიდან (GAO), ფილიპინების სამოქალაქო საზოგადოებისა და ღია ხელშეკრულებების ორგანიზაციიდან და, ასევე, დიდი ბრიტანეთიდან.


**საკონტაქტო პირი:**
**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს**
**კომუნიკაციების მენეჯერი**
**ეკა გაბადაძე**
**Mob: +995 577 244454**
**Email: egabadadze@spa.ge**